



5) հազնեց

Երևան -

7.00

Անօսման

1. Առ դուշտա -
- 2 Յա լուսագողական
3. Խջողեն անձնագիր պահպան
4. Ինչեւս 1-5000
5. Ցըլես Եվյուն Եղիսաբէթին
6. Յանիկիլյան Զահենիկ Տիգրան
7. Գրւես - ՏՆ. Անդրեաս Բագրեմունի
8. Հանգու Կիբրետու աղջուն
9. Կանաքելի ըստ Կիշուրինա -
10. Մայուսիստ Շնորհ յօվեցան

7.00

Übz p 163

6-361300

zum Abdruck



ଶ୍ରୀରାମବାଣିଜ୍ୟ

3. სორსეი

გვა სოციალიზმისაპენ.

თარგმანი

3. ძ—ძ ი ს ა.



გამოცემა „გუთისა“ № 11.



თბილისი

გლეხტრომბეჭდავი მ. სელაძისა, სოლოლ., პასკევიჩ. ქ. № 3.
1906

გვა სოციალიზმისაკვან.

აღამიანთა საზოგადოების გაჩენის დღიდანვე სიმდიდრესთან ერთად სილარიბეც არსებობს; კარგა ხნის განმავლობაში აღამიანმა არ იცოდა მიზეზი ამ მოვლენისა, არ იცოდა ის საშუალებაც, რომლითაც შეეძლო თავი დაეხტია სილარიბისაგან. დღეს ეს საშუალება ნაპოვნია. მას ჰქვიან სოციალიზმი, რომელიც გვასწავლის, რომ აღამიანი დამოუკიდებელი და სილარიბისაგან უზრუნველყოფილი მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც საწარმოვო იარაღებზე კერძო საკუთრების გაუქმებით ერთის აღამიანისაგან მეორის ყვლეფა მოისპობა, როდესაც შრომის ნაყოფი მხოლოდ თვით მშრომელისა იქნება, საზოგადოებრივ წარმოების მოწყობით მოისპობა უშუავრობა და კრიზისები, და როდესაც შრომის ნაყოფიერების ზრდა და მასთან ერთად ზრდა საზოგადოების თვითოვეულ წევრის სიმდიდრისაც უზრუნველყოფილი იქმნება.

მაგრამ სოციალისტურ წეს-წყობილების განხორციელება შესაძლებელი კი არის?

სოციალიზმის პირვანდელ მიმდევართ სწამდათ, რომ სოციალისტური წესწყობილება გაბატონებულ კლასის იდეალისტურ მისწრაფებათა შედეგი იქნებათ, საკმარისია გაბატონებული კლასი სიტყვით ან საქმით დავაჯეროთ, — და სოციალისტური წესწყობილება მაშინვე განხორციელდებათ, ფიქრობდნენ სოციალიზმის უწინდელი მიმდევრები. მაგრამ იუენის კოოპერატიული საზოგადოებანი ჩაიშალნენ, მისმა ქადაგებამ კი ამ ქვეყნის ძლიერთა შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია; ფურიე მთელი თავისი სიცოცხლე ტყუილად უცდიდა თავის ოთახში რომელიმე კაპიტალისტს, რომელიც ფალანსტერის მოსაწყობათ თავის მილიონებს ჩაუთვლიდა.

დღეს ცხოვრებამ ყველა დაარწმუნა, რომ მდიდრებზე იმედების დამყარება სრული უტოპიაა.

მარქსთან ერთად დაკავშირებულია მწყობრი თეორია, რომელიც გვასწავლის, რომ სოციალიზმი ფილანტროპით კი არ განხორციელდება, არა მედ იმ კლასის ბრძოლით, რომლის ეკონომიკურ ინტერესსაც სოციალიზმი სავსებით აკმიტილებს. ეს თეორია ამტკიცებს, რომ სოციალიზმისათვის მებრძოლ კლასს თვით კაპიტალიზმის სტიქიური განვითარება პქმნისო. „მარქსის დოგმით“ საზოგადო გეგმა ამ განვითარებისა მეტად მარტივია: მსხვილი წარმოება, როგორც სასარგებლო, თანდათან.

სპობს საშუალო და წვრილს წარმოებას. წვრილი მწარმოებელნი ხსნას მხოლოდ თავის საკუთარ შრო-
მის გაყიდვაში-ლა ხედავენ, მსხვილ მწარმოებელთან
მიღიან და პროლეტართა მებრძოლ არმიას ამრავ-
ლებენ და აძლიერებენ. რაც უფრო იზრდება მსხვი-
ლი წარმოება, პროლეტარებს მით უფრო ნაკლე-
ბი წილი ხვდებათ იმ სიმდიდრისა, რომელსაც თვი-
თონა ჰქმნიან; ეს გარემოება კი თავის წილად მათ-
ში მეტს უკმაყოფილებას და მწყობრ დარაზმვას
იწვევს. შედეგად ამ პროცესს (ერთის მხრით კონ-
ცენტრაციას, მეორეს მხრით პროლეტარიზაციას)
მოჰყვება კატასტროფა: გაყვლეფილი პროლეტარია-
ტი გამყროფთელ კაპიტალისტების ქონების ექსპრო-
პრიაციას მოახდენს, — და კიდევ განხორციელდება
სოციალისტური წესწყობილება..

ამ თეორიის მიხედვით, სოციალიზმის მომწ-
რეთა უმთავრესი მიზანი უნდა იყვეს პროლეტარი-
ატის იდეური ზრდა, მისი მჭიდრო ორგანიზაცია
და შექმნა ისეთ პირობებისა, რომლებშიაც უმთა-
ვრეს საკითხის გადაწყვეტა გაადვილდება. ყვე-
ლა დანარჩენს კაპიტალიზმის სტიქაური გან-
ვითარება შეასრულებს. ეს შექმნის მსხვილწარ-
მოების სახით სოციალისტურ წყობილებისათვის
მატერიალურ საფუძველს, იგივე შექმნის სოცია-
ლიზმის მქადაგებელთათვის მიმზიდველსა და სამო-
ქმედო ასპარეზს.

სიმარტივითა და ოპტიმიზმით მიმზიდველია,
თეორიაა!

მაგრამ ყოველი თეორია უპირველეს ყოველი-
სა სინამდვილეზედ უნდა იყვეს დამყარებული. ფაქტი.
ბატუნია ყოველგვარ თეორიისა. თუ გამოჩნდა
თუნდა ერთი ისეთი ფაქტი მაინც, რომელიც თე-
ორიის ჩარჩოებში არა თავსდება, — უკანასკნელი-
უსათუოდ უნდა გადაისინჯოს.

მარქსის დოგმა ინდუსტრიის განვითარების
კვლევა ძიებაზეა დამყარებული. მრეწველობის ამ
დარგში, მართლაც, ხდება ის, რასაც ეს დოგმა
აღიარებს, ე. ი. კონცენტრაცია და პროლეტარი-
ზაცია, პროლეტარიატი, მართლაც, საუკეთესო, თავ
გამოდებული მებრძოლი ხდება სოციალისტურ იდე-
ალისა.

მაგრამ ინდუსტრიის გარდა არსებობს კიდევ:
ერთი ძალიან დიდი დარგი წარმოებისა — სოფლის
მეურნეობა. რა გზით მიდის იქ სამეურნეო განვი-
თარება? როდესაც სოფლის ცხოვრებაში „მარქსის
დოგმას“ გადასინჯვა დაუწყეს, მკვლევართ სულ-
სხვა-გვარი სურათი გადაეშალათ თვალ-წინ. დოგმის
მომხრენი, რა თქმა უნდა, ვერას გზით ვერ ეგუე;
ბიან იმ აზრს, რომ მათი თეორია სოფლის ცხოვ-
რებაში სრულიად გამოუსადეგარია. ისინი დიდ
ხანს ამტკიცებდნენ გულმოდგინეთ, რომ სოფლის
მეურნეობის განვითარება იმავე გზას ადგას, რანა-

არსაც ინდუსტრია, ე. ი. იქაც კონცენტრაცია და პროლეტარიზაცია ხდებათ. რომ რუსეთშიაც სწორედ ამნაირი პროცესი ხდება, ამას განსაკუთრებულის თავ გამოდებით ამტკიცებდა ილინი. (იხ. ამისი წიგნი „სოციალიზმის განვითარება რუსეთში“). მაგრამ, აქ დასახელებულ წიგნს რომ კარგათ ჩავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ მოყვანილი ციფრები სოფლის მეურნეობაში კონცენტრაციისა და პროლეტარიზაციის განვითარებას სრულიადა არ ამტკიცებს.

უპირველეს ყოვლისა, მეურნეობის ევოლუციის მიმართულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი, თუ ადამიანს ხელთა აქვს რაც დენიმე, სულ ცოტა, ორი ისეთი გამოკვლევა მაინც, ერთსა და იმავე საგანზედ, რომლებიც ერთი შეორის შემდეგ დრო გამოშვებით არის დაწერილი. ილინის მაგილითები კი ამ ძირითადს მოთხოვნილებას ვერ აქმაყოფილებს. ყველა იმ მაზრაში, რომლის შესახებაც ცნობებს იძლევა ილინი, კვლევამიება მხოლოდ ერთხელ სწარმოებდა, მაშასადამე, მას შეეძლო ჩვენთვის გადმოეცა მხოლოდ ერთი, მეტათ მკრთალი სურათი, რომელიც სრულიად ვერაფერს გვეტყოდა ვერც იმის შესახებ, თუ საიდან წარმოსდგა იგი, ან რად გადაიქცევა შემდეგში. მაშასადამე, ილინის შეხედულება, რომ ხდება დიდურენციაცია (დანაწილება) საშუალო ქონების

პატრონ, დამოუკიდებელ გლეხებისა მსხვილ მწარ-
მოებლებად და პროლეტარებად, რომ „მარქსის
დოგმა“ კონცენტრაციისა და პროლეტარიზაციის
შესახებ სოფელშიაც ნიადაგს პოულობს, — დაუ-
მტკიცებელი რჩება. ამას გარდა ილინი ტერმინო-
ლოგიას ძლიერ ბუნდოვანათ ხმარობს, და ამიტო-
მაც ციფრებიდან ისეთი დასკვნა გამოჰყავს, რანაი-
რიც ნამდვილად შეუძლებელია რომ გამოიყვანოს.
კონცენტრაციას ყველა მსხვილ წარმოებისაგან სა-
შუალო და წვრილ წარმოების განდევნას ეძახის.
რასა ჰქვიან მსხვილი წარმოება სოფლის მეურნეო-
ბაში? ამის შესახებ ილინი არაფერს გვეუბნება,
თუმცა ამის გამორკვევაზეა დამყარებული საკითხის
ჰეშმარიტი გადაწყვეტა. „მსხვილ“, „საშუალო“ და
„წვრილ“ მეურნეობათა საუკეთესო განმარტება პრო-
ფესორმა კარიშევმა მოგვცა. წვრილ მეურნეობას ის
ეძახის ისეთს მეურნეობას, რომლის გაძლოლის ერ-
თი ოჯახი, დაუქირავებელის მუშებით ახერხებს.
მიწის სივრცის რაოდენობა ამ მეურნეობაში შეი-
ლება სხვა-და-სხვანაირი იყვეს; ეს სხვა-და-სხვაობა
დამოკიდებულია მიწის ზედა პირისაგან, მეურნეო-
ბის სისტემისაგან და სხვა ამგვარ მიზეზებისაგან.

საშუალო, კარიშევის განმარტებით, ჰქვიან ისეთ
მეურნეობას, როდესაც დაუქირავებელ მუშებით
საჭმის გაძლოლი შეუძლებელი ხდება, მაგრამ თვით
მამულის პატრონს კი მეურნეობაში დიდი როლი

უკავია. მსხვილი შეურნეობა ჰქვიან ისეთს მეურნეობას, რომელშიაც პატრონს, აღვილად შეუძლიან პირზაპირ მონაწილეობა არ მიიღოს. ამ თვალთან ხედვით რომ შევაედოთ ილინის მიერ მოყვანილ ციფრებს, ჩვენ დავინახავთ, რომ ის მეურნეობა, რომელსაც ილინი მსხვილს ეძახის, ნამდვილად წვრილი მეურნეობაა.

მართლაც და, ილინის აზრით, მაზრების შეტ ნაწილში „მსხვილი“ მეურნეობის მოსაწყობად სამოცი დღიური მიწა საჭირო. სამხრეთ მაზრებში საჭირო მიწის რაოდენობა, მისივე აზრით, ას დღიურამდის ადის. მაგრამ გამოკლილ აგრონომებს, რომ ყური დაუგდოთ, დავინახავთ, რომ შუაგულ რუსეთში ერთმა ოჯახმა თავისი სამუშაო ძალა რომ წესიერად გამოიყენოს 50 დღიური და ზოგან მეტიც დასჭირდება. მაგ. გერმანელი კოლონისტები ახლად გამოყოფილ ოჯახს წილად სამოც დღიურ მიწას. მისცემენ ხოლმე. მაშასადამე ილინის მოყვანილი ციფრები სავსებით წვრილ მეურნეობას შეეხებიან. თუ გვინდა გავიგოთ რუსეთში მსხვილ მეურნეობას რა მომავალი მოელის, საბატონო მეურნეობის თვისებების შესწავლას უნდა მივყოთ ხელი, და არა საგლეხოსი, როგორც ამას ილინი სჩადის. მაშინ კი დავინახავთ, რომ „მარქსის დოგმის“ წინასწარმეტყველება საფუძველს დაჰკარგავს. ბატონ-ყმობის გაუქმებიდან 45 წლის განმავლობაში

თავად-აზნაურობამ ნახევარი օდგილ-მამული მიყიდ-
მოყიდა. მეორე ნახევარს თითქმის მთლად გლეხო-
ბა ან იჯარით, ან საღალოთ იღებს და მაშასადამე-
ეს ნახევარი წვრილ მეურნეობის საშუალებით მუ-
შავდება. თუ არის საღმე სოფელში მსხვილი კაპი-
ტალისტური მეურნეობა, პატრონს იქიდან ბევრი
არაფერი სარგებლობა გამოაქვს.

შემცდარია ის აზრი, ვითომ მსხვილმა მეურ-
ნეობამ მხოლოდ იმიტომ ვერ მოიდგა ფეხი რუ-
სეთში, რომ მემამულებს საჭირო თანხა არა ჰქონ-
დათ. თავად-აზნაურობამ მამულების დაგირავების
შემდეგ მთავრობისაგან ერთ მილიარდ მანეთზედ.
ბევრით ნაკლები აღარ მიიღო; ეს თანხა რომ გა-
ვანაწილოთ, ორ დღიურ სახნავ მიწაზედ, 36 მა-
ნეთი მოვა, ან და, დღიური მიწა საშუალოდ 50
მან. რომ ვიანგარიშოთ — 36% მთელ მიწების ლი-
რებულობისა; მაშინ, როცა ინტენსიურ მეურნეო-
ბისათვის მამულის ლირებულობის 35% ითვლება
სამყოფად და ექსტენსიურისათვის ხომ 21% სამყო-
ფია.

მიზეზად ასახელებენ ხოლმე ხშირად კიდევ
თავად-აზნაურობის ძველ ღროიდან დაყოლილს
უნიჭობას მეურნეობაში. საქმე მაშინ გაიჩარჩება,
როცა მეურნეობას ვაჭარი ან შეგნებული გლეხი
მოჰკიდებს ხელსაო, ამბობენ ხოლმე ამ აზრის მიმ-
დევარნი. მაგრამ ცხოვრება გვიმტკიცებს, რომ ეს

„მრეწველობის სულის ჩამდგმელნიც“ ვერაფერი მეურნეები დგებიან. მართალია ვაჭარიც და ჩარჩიც გამგელებული სცდილობენ თავად-აზნაურთა მიწების შესყიდვას, მაგრამ ერთიც და მეორეც ყიდულობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მამულის მეტი ნაწილი ტყეს უჭირავს; ტყის გაჩეხვის შემდეგ, მოტიტვლებულ ადგილს ან ისევ გლეხვაც იჯარით მისცემენ ან ნელ ნელა ყიდვას დაუწყებენ ხოლმე. მეურნეობისათვის-კი არასოდეს თავს არ აიტკიებენ, რადგანაც მათი გამამდიდრებელი წყარო ვაჭრობა და ჩარჩობაა და არა მეურნეობა. მიუხედავად ამისა „კონცენტრაციის“, მომხრენი მაინც თავისას გაიძახიან. ეს გარდამავალი მოვლენა არისო, ამბობენ ისინი; რუსეთს თვითნებობის უდელი აძევს კინერზედ და ყოველი ინიციატივა და ენერგია მის სიმძიმის ქვეშ ქარწყლდებათ. აი რუსეთში მალე უფლებრივი წესწყობილება დამყარდება და მსხვილი მეურნეობაც მაშინ განვითარდებათ. საკმარისია თვალი გაღავავლოთ დასავლეთ ევროპის მეურნეობას, რომ დავრწმუნდეთ ამ აზრის სრულ უსაფუძვლობაში. დიდიხანია მას აქეთ რაც იქ უფლებრივი წესწყობილება დამყარდა, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, აქაც სოფლის მეურნეობაში წვრილი წარმოება სპობს მსხვილსა. ბელგიაზედ, პოლანდიაზედ, დანიაზედ და შვეიცარიაზედ ხომ ლაპარაკიც მეტია. გერმანიასა და ინგლისის შესახებ

კაუციკი, ეს „მარქსის დოგმის“ თავგამოდებული დამცველი, იძულებული იყო ეთქვა, რომ იქ წვრილი მეურნეობა ვითარდება მაშინ, როცა პარცელიარული და მსხვილი მეურნეობა იჩაგრება. იქ, სადაც ერთას შეხედვით თითქას წინააღმდეგი პროცესი სწარმოებს, გულდასმით დაგვირვების შემდეგ ადგილად ქესამჩნევე ხდება, რომ მეურნეობისა კი არა მიწის მფლობელობის კონცენტრაციაზე შეგვიძლიან გრძაპარაკთ. საფრანგეთში მაგ. საშუალო რიცხვები თითქოს „მარქსის დოგმის“ დამამტკიცებელ ცნობებს იძლევიან, მაგრამ აქაც გერცმა შეცდომა იპოვნა. ჩრდილოეთ საფრანგეთში, სადაც მიწადმოქმედებას მისდევენ, წვრილი მეურნეობა, როგორც უკელვან, მსხვილსა სპობს. სამხრეთ საფრანგეთში ის მასალა, რომლითაც კაუცი ხელმძღვანელობს, შეკრეფილი იყო იმ დროს, როდესაც იქ ფილმერამ ვენახები სულ მთლად გაანადგურა და გალატაკებული მემამულენი იძულებულნი იყვნენ თავისი მამულები გაეყიდნათ. მაგრამ საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ამ მამულების მყიდველები მხოლოდ მიწის მფლობელები იქნენ და არა მიწად მოშენები. ცხადია, რომ საფრანგეთში მეურნეობის კონცენტრაციაზე ღაპარა-კი სრულიად უსაფუძვლოა. ამავე მოვლენას გხედავთ ამერიკაშიაც. იქ, სადაც მიწადმოქმედებას მისდევენ, მსხვილი მეურნეობა შესამჩნევად იჩაგრე-

ბა წვრილისაგან. მართალია ჩრდილოეთ ამერიკაში თითქოს უკუღმა ტრიალებს ჩარხი, მაგრამ აქაც მიწის სტეპულიაციას, მიწის-მიფლობელების გაფართოებიას ვხედავთ და არა მეურნეობის „კონცენტრაციას“. ყველგან, რომელ მხარესაც კი გაიხედავთ, ამგვარ სურათს დაინახავთ. ამგვარი აზრი გამოსთქვა კაუცკიმ და მის შემდეგ გულ-დაწყვეტილმა რუსეთის მარქსისტებმაც დღიარეს, რომ კონცენტრაცია მეურნეობაში საერთოდ, და მიწადმოქმედებაში კერძოდ ყველგან არა სწარმოებს, რომ ამ მოვლენას საერთო ხასიათი არა აქვს. ეს ესეა, მაგრამ ორტოლოქსები მაინც თავისას არ იშლიან და რიხიანად გაიძახიან: „მერე რა ვუყოთ, რომ კონცენტრაცია და კაპიტალიზაცია ეხლავე არა ხდება; მოითმინეთ, შემდეგში მოხდება“. 7

საჭიროა ამ მოსაზრებასაც კბილი გაუსინჯოთ; საჭიროა გამოვარკვიოთ რა მიზეზია, რომ მეურნეობაში კონცენტრაციამ ეხლავე არ იჩინა თავიდან კი შესაძლებელია როდისმე იჩინოს?

როდესაც კაპიტალისტი რამე წარმოებას ხელსა ჰკიდებს, ის ყოველთვის იმ გვარ წარმოებას აძლევს უპირატესობას, რომელიც დანამდვილებით დიდს სარგებელს შევმატებს მის დახარჯულ თანხას. სარგებელი, როგორც ვიცით, ზედმეტ ღარებულობისაგან სდგება და ეს უკანასკნელი კი შრომის ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული. სოფლის მეურ-

ნეობაში შრომის ნაყოფიერება გაცილებით ნაკლებია ვიდრე ინდუსტრიაში. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა ის არის, რომ სოფლის მეურნეობაში შეუძლებელია ისეთი შრომის განაწილება, როგორიც ინდუსტრიაში, სადაც თვითეულ მუშის შრომა იქამდის გამარტივებულია, რომ ადამიანის ალაგს მანქანა იჭერს. მეურნეობაში შრომას ამ გვარად ვერას გზით ვერ გავანაწილებთ. აქ შეუძლებელია საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ერთსა და იმავე დროს ერთმა მუშამ ხნას, მეორემ სთესოს, მესამემ მკას და სხვა. მეურნეობის განსაკუთრებითი თვისება ის არის, რომ აქ ადამიანმა ყოველ მუშაობას უსათუოდ თავისი შესაფერი დრო უნდა შეურჩიოს, ამიტომაცაა, რომ სოფლის მეურნეობაში რთული მანქანები, რომელნიც ინდუსტრიაში შრომას ძლიერ ანაყოფიერებენ, სრულიად გამოუსადეგარია. მეურნეობაში უმთავრესი მმოძრავი ძალა ადამიანისა და პირუტყვის ძალაა, მაშინ როცა ინდუსტრიაში თითქმის ყველაფერს ორთქლი და ელექტრონი ამჟღავნებს. ინდუსტრიაში ერთი ორთქლის მანქანა წვრილმან, მაშველ მანქანების დახმარებით მთელ უზარმაზარ ქარხნის რთულ მექანიზმს გასაკვირველის სისწრაფით ამოძრავებს. სოფლის მეურნეობაში ყველა ეს წარმოუდგენელია, რადგანაც მუშაობა ერთს ალაგის კი არა სწარმოებს, რავდენიმე დღიურ მიწის სივრცეზეა გაფანტული. მართალია

აქ გამოსადევია პატარა ლოკომობილები, მაგრამ არც ამათ აქვთ დიდი მნიშვნელობა, რადგანაც თვითონ ამ ლოკობილების მოძრაობაში მოსაყვანად არა ნაკლები ძალა და ენერგია უნდა დაიხარჯოს. ის გარემოება, რომ მუშაობა გაშლილ მინდორზედ ჰაერზედ სწარმოებს, ხომ უფრო აქარწყლებს ამ ლოკომობილების მნიშვნელობას. ამის გარდა საყურადღებოა კიდევ შემდეგი განსაკუთრებითი თვისება მეურნეობისა: მეურნეობაში მუშას ცოცხალ საგნებთან, — მცენარესთან და პირუტყვთან აქვს საჭმე, და, რასაკვირველია, უკანასკნელს უფრო მეტი სიფრთხილე და ყურადღება სჭირდება ვიდრე ქარხნის მუშას, რომელიც უსულო, მკვდარ მასალას ამუშავებს. ცხადია აქედან, მეურნეობაში მუშის ინდივიდუალურ თვისებებს, მის შრომის მოყვარეობას, სიფრთხილეს და სიფხიზლეს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ინდუსტრიაში, სადაც თვითონ მანქანა ამუშავებს ადამიანს და არა ადამიანი მანქანას. თუ ეს ასეა, მეურნეორბაში მუშის თვალყურის დევნა უფრო საჭიროა და ძნელიც არის, ვიდრე ინდუსტრიაში, რადგანაც აქ როგორც ზევითა ვთქვით, მუშაობა დიდ მანძილზედ არის გაშლილ-გაფანტული. მაშასადამე სთვალის მეურნეობაში შრომის ნაუთვიერება მით უფრო მეტია, რაც მუშა უფრო გულმოდგინეთ შრომის, რაც უფრო დაინტენსებულია შრომის ნაუთვის სიუხვეში.

ამიტომაცაა რომ მეურნე მუშა უფრო ნაკლებს ზედმეტ ღირებულებას ჰმატებს კაპიტალისტს, ვიდრე ქარხნის მუშა, მიუხედავად იმისა, რომ პირველის დღიური ხელფასი გაცილებით ნაკლებია. თუ ინდუსტრიაში კაპიტალისტი თვითოვეულ მუშისაგან ზედ მეტად იღებს მაგალითად ორ კაპეიკს, სოფლის მეურნეობაში კაპეიკზედ მეტს ვერას გზით ვერ აიღებს.

მაგრამ კაპიტალისტი ზედ მეტ ღირებულებას მაგრე რიგად არ დაგიდევს. უკანასკნელს ისეთი წარმოება მიაჩნია ხელსაყრელად, რომელიც მის დახარჯულ კაპიტალზედ მეტს პროცენტს მისცემს.

ვნახოთ რაგვარია სოფლის მეურნეობაში ეს პროცენტი. ვთქვათ ორ კაპიტალისტს აქვს თანაბრად თითოს 50000 მან. ვთქვათ პირველმა ქარხნის მოწყობას მოანდომა მთელი თავის ფული, მეორემ კი მეურნეობას მოჰკიდა ხელი. ერთიც და მეორეც ამუშავებს 50 მუშას. ცხადია, რომ ფულის პატრონი მხოლოდ მაშინ აიღებს სარგებელს, როდესაც მუშაობა რიგიანად სწარმოებს, როდესაც კაპიტალი ამოსწოვს მუშის კისრიდან ზედ-მეტ ღირებულებას. ცხადია ისიც, რომ რავდენსაც მეტს დროს, მეტ საათს იმუშავებს სიმღიდრის შემქმნელი შუშა, მით უფრო მოვებაც მეტი იქნება. პირველ კაპიტალისტს, ქარხნის პატრონს შეუძლიან მთელი წელიწადი გამუდმებით ამუშაოს ქარხანა, მას შე-

უძლიან წელიწადში 8000 საათი ამუშაოს მუშები. ზევით ნათქვამი გვქონდა, რომ ქარხნის მუშა ერთს საათში კაპიტალისტს ზედ მეტად ორ კაპეიკს აძლევს; 50 მუშა ერთს მანეთს მისცემს; მაშასადამე 8000 საათში გამოდის 8000 მანეთი, რაც მის თანხის ე. ი. 50000 მანეთის 16 % შეაღენს.

მეურნეობაში ყოვლად შეუძლებელია მთელ წელიწადს განუწყვეტელი მუშაობა. რაც უნდა ბევრი ეცადოს კაპიტალისტი მაინც 2000 სამუშაო საათზედ მეტს ვერ შეაყენებს. რომ ვიანგარიშოთ 50 მუშა ხელი ამასთანავე 1 კაპეიკი ზედ მეტი ღირებულება თითო მუშაზედ, კაპიტალისტი აიღებს წელიწადში მხოლოდ 1000 მანეთს სარგებლებს, ე. ი. დახარჯულ კაპიტალის 2 %.

მაგრამ მარტო ამით არ თავდება ქარხნის პატრონის უპირატესობა. მართალია ისიც მეურნესავით იძულებულია მთელ თავის მოგებიდან გამოყოს რენტა იმ მიწისა, რომელიც ქარხანას უჭირავს, შაგრამ ინდუსტრიაში რენტა მთელ დახარჯულ თანხის $\frac{1}{10}$ ზევით არას დროს არ აღის; მაშინ როდესაც მეურნეობაში მიწაზედ იხარჯება მთელი თანხის $\frac{4}{5}$ მაშასადამე თუ რენტა მთელ დახაუჯულ კაპიტალის 4 % უდრის, ქარხნის პატრონი მოიგებს 7800 მან, ე. ი. მთელ დახარჯულ თანხის (მიწის ფასის გამოკლებით) $17 \frac{1}{3} \%$. მეორე კაპიტალისტი კი წააგებს 600. მან; ანუ მარტო მეურნეობაზედ (მიწის გარდა) დახაჯულ თანხის 6 %^{*)}.

*) უკანასკნელს რომ მეურნეობისათვის თავი დაენებებინა და მარტო რენტით ესარგებლა 40,000 მან. (50000 მანეთის $\frac{4}{5}$) 4 % — 1600 მანეთს მოიგებდა.

ამ მცირე მოგებასთან ერთად ათას სხვა მოულოდნელი, ხშირად აუცილებელი შემთხვევა აფერხებს მეურნეობას; გვალვა, უდროვო წვიმა, სეტყვა, კალია და სხვა ამგვარი ჭირბაზულის გამანადგურებელი მწერი. მუშისაგან ხომ მეურნე უფრო დამოკიდებულია ვიღრე ქარხნის პატრონი; მკის დროს, მაგალითად, მცირე გაფიცვას შეუძლია სულ მთლად ძირს დასცეს მთელი მეურნეობა.

ამ პირობებში, გასაკვირველიც არ არის, რომ კაპიტალისტი მეურნეობას გაურბის და ინდუსტრიას ან ვაჭრობას ჰკიდებს ხელს. მსხვილი წარმოება სოფლის შეურნეობაში განვითარდა მარტო იმ ადგილებში, სადაც კაპიტალისტებმა მიწის ნაყოფის მონაპოლიური ფასების დაწესება მოახერხეს. მაგრამ მისვლა მოსვლის გაადვილებამ და გაიაფებამ ამ კაპიტალისტთა მონაპოლიას ძირი გამოუთხარა. ამერიკამ და ავსტრიალიამ, სადაც მიწის რენტა ძლიერ მცირეა, მთელი ევროპა მიაზღვავა იაფ ფასიან პროდუქტებით. შემცირდა დამცველი ბაჟები, მონაპოლიური ფასებიც კაპიტალისტებს ხელიდან გამოეცალათ და ამით გადასწყდა მსხვილ მეურნეობის სვებედი ევროპაში. მსხვილი წარმოება სოფლის მეურნეობაში მომავალშააც დაჩაგრულია იქნება წვრდულისაგან, რადგანაც პატრა შეუზნე არც რენტას და არც მთგებას არ დაგიდევს. უკანასკნელია უფეხლთვის უფრო მუქაითად და უურადღებით ძალის, კადრე დაქარაკეა უკანასკნელია მუშა, რადგანაც შრომის ნადავშა დაინტერესებულია . „მართალია“, ამბობენ ორტოდოქსები, იადა .

სტრიაში ნორმა მოგებისა გაცილებით დიდია, ვიდრე მეურნეობაში, მაგრამ ყოველთვის ხომ ასე არ იქნება. მოიგონეთ, რომ კაპიტალის აგებულება თანდათან იცვლება; ცვალებადი კაპიტალი მუდმივათ შედარებით ცოტავდება და ეს კი თავის წილად უსათუოდ მოგების ნორმის შემცირებას გამოიწვევს. და როდესაც ინდუსტრიასა და მეურნეობაში მოგების ნორმა ერთგვარი იქნება, მაშინ კაპიტალი შეიჭრება სოფლის მეურნეობიში, მაშინ გაცხოველდება „კონცენტრაცია“ და „პროლეტარიზაცია“.

ორტოდოქსებს სრულიად ავიწყდებათ ის გარემოება, რომ ტეხნიკის განვითარება შესცვლის კაპიტალის აგებულებას, მის ხასიათს არა მარტო ინდუსტრიაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიაც და ამის გამოისობით მოგების ნორმა აქ ყოველთვის ნაკლები იქნება. ამის გარდა სოც.-დემ. არ აქცევენ ყურადღებას კიდევ ერთს ფრიად თვალსაჩინო გარემოებას.

კრიზისის დროს მეურნე კაპიტალისტს ხელთა აქვს ერთი საშუალება, რომელიც ნებას აძლევს რისკის გაუწევლად მოგების რაოდენობება შესამჩნევად ასწიოს. მას ყოველთვის შეუძლიან ხელ — საყრელ პირობებით მიწა მოიჯარადრეებს დაუნაწილოს, მაშინ როცა ქარხნის პატრონს ამგვარი ოპერაცია ზარალის მეტს არაფერს მოუტანს. ზევით დავინახეთ, რომ მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობაში კაპიტალისტი რენტასაც კი ვერ იღებს, იჯარით გაცემის დროს კი რენტაც, წმინდა მოგებაც და

მუშის ხელფასის მეტი ნაწილიც მის ჯიბეში მიღის. მსხვილი მემამულე ასეც იქცევა და მოიქცევა ყოველთვის, ვიდრე მიწაზედ კერძო საკუთრება და მიწების თავისუფალი მობილიზაცია არსებობს. რა შედეგი მოჰყვება ამ მოიჯარადრეობის ძლიერს განვითარებას ნათლად გვიჩვენებს ირლანდიის ცხოვრება. ირლანდიის მშრომელი ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით წელ გაუშლელი მუშაობს, მარტო მემამულე ლენდლორდების ჯიბეს ავსებს და თვითონ კი მშიერ მწყურვალი იხოცება.

ჩვენ მოვალენი ვართ გადაჭრით, ერთ-ხელ და სამუდამოდ გამოვაცხადოთ, რომ სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიის განვითარება სულ სხვა და სხვა გზით მიდის. მართალია კაპიტალმა სოფელ-საც ჩასჭიდა თავისი ბასრი კლანჭები, მაგრამ აქ მისი გავლენა მხოლოდ მუშის გულშემზარავ ექსპლოატაციაში სჩანს. კაპიტალს არც ეხლა და არც არა-სოდეს არ შეუძლიან მეურნეობაში კონკურენტიცია გამოიწვიოს და თუ სოფელში წარმოების განვითარების პროცესმა ისევ სტიქიური მსვლელობა განაგრძო, თუ მიწა ისევ სავაჭრო საქონლად დარჩა, კაპიტალიზმის გავლენა სოფელში მხოლოდ უსინიდისო ექსპლოატაციაში და აულაგმავ ცარცვა გლეჯაში გამოიხატება. კონცენტრაცია იქ წარმოიდგენია მსოფლიო მიწის მფლობელობისა და არა წარმოებისა; ამ შემთხვევაში განვითარდება მოიჯარადრეობა და იჯარის ფასის რაოდენოებაც უზომო იქნება. რეგრესი, შრომის აუწერელი სიმძიმე და ხანგრძლივო-

პა უკადურესი სილატაკე, განუწყვეტელი სიმშილი, გახშირებული სიკვდილი მშრომელ გლეხობისა; — ამის გვერდით მემამულეთა განცხრომა-ფუფუნება, — აი რა მოსდევს კაპიტალიზმის თავისუფალ განვითარებას სოფელში. ოჯორც ხედავთ კაპიტალიზმი აქ ვერც საზოგადო წარმოებას, ვერც სოციალიზმისთვის თავვამოდებულ მეპარძოლ არმიას ვერ შექმნის.

ყველა ეს დასკვნა დიდი ყუჩადღების ღირსია, რაღვანაც მის შევნებასთან ერთად ჩვენი მოვალეობაც გვითვალისწინდება. ჩვენ არ შევვიძლიან გულგრილად, ოპტიმისტურად ვუცადოთ იმ ღრმას, როდესაც კაპიტალიზმი სოფელში სოციალიზმს ნიადაგს მოუმზადებს. ნამდვილმა სოციალისტმა კაპიტალიზმის განმტკიცებას ზიზღით ზურგი უნდა შეაქციოს და სოციალიზმის განსახორციელებლად სულ სხვა გზა ირჩიოს. რასაკვირველია ამ ძიებაში ცხოვრების სინამდვილეს აუცილებლად ანგარიში უნდა გაუწიოთ და ჩვენი იმეუები დავამყაროთ იმ საზოგადოებრივ ჯვუფზედ, ომლასაც ამ საქმისათვის საჭირო ძალა და ენერგია შესწევს.

მას შემდეგ, რაც სოც.-დემოკრატებმა ვერ შეძლეს მეურნეობის განვითარება მარქსიზმის კალაპოტში ჩაეყენებინათ, ლამის არის სოფლის იმედი სულ მთლად დაპკარგონ; „რა გზითაც უნდა განვითარდეს წარმოება სოფელში ჩვენთვის სულ ერთია — ლაპარაკობენ სოციალ — დემოკრატები — სამყაფია ის, რომ წარმოების განვითარება მარტო

ქალაქებში კაცობრიობას სოციალიზმამდის მიიყვანს. სოფლის მნიშვნელობა თანდათან ისპობა და მის ნაცვლად იზრდება ქალაქისა. მთელ დასავლეთ ევროპის მცხოვრებთა ნახევარზედ ბევრით მეტი ქალაქებში სცხოვრობს. ეს ქალაქები გადასწყვეტენ საქმეს, იმის და მიუხედავათ თუ რანაირად მოიქცევიან სოფლელები.

აქ საჭიროა გავახსენოთ სოც.-დემოკრატებს, რომ ისეთი ავტორიტეტიც-კი, როგორც მაგ. ენგელსია, ამბობს, რომ საფრანგეთში და გერმანიაში გრძელების უდასტურთ შეუძლებელია რაიმე დიდ მნიშვნელოვან საზოგადო აზრის შედგენა. თუ საფრანგეთში და გერმანიაში სოფლის მცხოვრებთ ასეთი გავლენა აქვთ საზოგადოებრივ აზრის მიმართულებაზედ, რაღა უნდა ვთქვათ რუსეთზედ, როცა აქ მთელი ქვეყნის მცხოვრებთა 90 % გლეხობა შეაღვენს. ცხადზედ უცხადესია, რომ რუსეთში გლეხობის მნიშვნელობა დიდია; ცხადია ისიც, რომ გლეხობის დაუხმარებლად შრომის სამეფოს განხორციელების იმედი სრული უაზრობაა. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუსეთში როდისმე მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი ქალაქებში მიჰყვეს, რაღანაც დასავლეთ ევროპის ქალაქი გარეშე ბაზრის წყალობით განვითარდა და ამ უკანასკნელს კი რუსეთი ყოველთვის მოკლებული იქნება.

მაშასადამე შეუძლებელია სოფლის უყურადლებოთ დატოვება, შეუძლებელია მარქსის დოგმით თავის მოტყუება, შეუძლებელია კაპიტალიზმის

„ყოვლად შემძლებელ მფარველობაზედ და მის გეგე-
მონიის წყალობით სტიქიურ განვითარებაზედ იმე-
დის დამყარება“. საჭიროა მშრომელ საფხეის საქმეში
ჩარჩება, საჭიროა მეურნეობის განვითარების იმ გზაზე
დაუკავშირდება, რომელიც შრომის ინტერესებს არ ეწინააღმ-
დებება და რომელიც ბოლოს აუცილებლად საზოგადო
წარმოების ორგანიზაციამდე მიგვიღიანს. ქვეით ვეცდე-
ბით ეს გზა მოკლეთ მაინც დავასურათოდ.

ზევით ნათქვამი გვქონდა, რომ კერძო საკუთ-
რება და მიწების თავისუფალი მობილიზაცია კაპი-
ტალისტს საშუალებას აძლევს მამულის იჯარით გა-
ცემით გაცილებით მეტი შემოსავალი აიღოს, ვიდ-
რე მაშინ, როდესაც ეს კაპიტალისტი თვითონ მის-
დევს მეურნეობას. ამ გვარად კერძო საკუთრება მეუ-
რნეობაში მსხვილ წარმოების განვითარებას ხელს უშ-
დის; მაგრამ მეორე მხრით წყრილ წარმოების ნორ-
მალულურ განვითარებასაც შესამჩნევად აფერხებს
მით, რომ მიწადმომქმედს მეურნეობის გასაუმჯობე-
სებლად სახსარს არ აძლევს. ამ გვარად მეურნეო-
ბაში კაპიტალიზმს მხოლოდ მშრომელ გლეხობის
ექსპლოატაცია, წაროების განვითარების შეჩერება
და რეგრესი შეაქვს, მაშასაღამე აუცილებლად სა-
ჭიროა მეურნეობა ეხლავე გავანთავისუფლეთ შიწაზედ
კერძო საკუთრების დამღუპველ გავლენისაგან. საჭიროა
მიწა ეხლავე საზოგადო საკუთრებად შეიქმნეს.

მაგრამ მიწის გასაზოგადოვება მშრომელ გლეხო-
ბის მოუტანს რაიმე სარგებლობას და ამასთან ერ-
თად გაუადვილებს მის სოციალიზმისათვის ბრძოლას?

თქმა არ უნდა, რომ მიწის გასაზოგადოვებას შშორმელ ვლეხობისათვის სასარგებლო შედეგი მოჰყვება: მოისპობა მონოპოლიური რენტა, რომელიც გლეხს მის ოფლით შექმნილ სიმდიდრეს ხელიდან ჰელეჯს და სიმშილით სულს ართმევს. ის შემთხვევაში ნაწილი, რომელიც შონიშვილიურ რენტას უნდებდა, შშორმელ გლეხს დარჩება.

მართალია დიუქერენციალური რენტა ისევ დარჩება, მაგრამ უკანასკნელი უწინდებურად კერძო პირის ჯიბეში კი არ ჩავა, სოფლის საკუთრებათ შეიქმნება და ისევ შშორმელ ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, სასწავლებლებს, საავადმყოფებს, გზების შეკეთებას, ტეხნიკის განვითარებას და სხვა ამ გვარ საქმეს მოხმარდება. ოჯახს შეძლება მიეცემა მთელი თავისი სამუშაო ძალა სავსებით გამოიყენოს და უფრო მეტი სიმდიდრე შეჰქმნას, რადგანაც დამოუკადებელ მიწადმოქმედთა დასამუშავებლად გაცილებით მეტი მიწა შეხვდებათ.

კრალია, რომ მიწის გასაზოგადოვება შესამჩნევად გააუმჯობესებს დამოუკიდებელ მიწადმოქმედთა მდგომარეობას.

მაგრამ შეკვიძლიან-კი ჩვენ, სოციალისტებმა ეს ზომა პროვერესიულ ზომად ჩავთვალოთ?

ეჭვს გარეშე, რომ მის განხორციელება ერთის ნაბიჯით წინ წაგვშევს ჩვენ იდეალისკენ, ყველა დაგვეთანხმება, რომ სოციალიზმის განსახორციელებლად აუცილებლად საჭიროა მიწის გასაზოგადოვება მაშ რაღად უნდა გადავდოთ სახვალიოთ ის საჭ-

მე, რომელიც ეხლავე, დღესვე გაკეთდება, მით უმეტეს, რომ შემდეგში ამ საქმის გაკეთება შესაძლებელია უფრო გაძნელდეს, თუ განხორციელდნენ სოც.-დემ. მისწრავებანი, თუ სოფელი ბურუუაზიულ წესწყობილების ხიალვარმა გაანადგურა. სწორედ მაშინ გაელვიძება გლუბს შესაკუთრების უინი, სწორედ მაშინ განვითარდება მის „ანტიკოლექტივისტურ თავში“ (ამ სახელით მონათლეს სოც.-დემოკრატებმა მშრომელი გლეხობა) ანტიკოლექტივისტური იდეები.

მიწის საზოგადო მფლობელობა, პირიქით, გლეხს საზოგადო მისწრავებათა მოთხოვნილებას გაუკვიძებს და ნელ ნელა კოლექტიურ წარმოების იდეასაც შეაჩვევს. რუსეთის პროლეტარიატიც, ეს ერთად ერთი (ორტოდოქსების წარმოდგენით) პროგრესიული კლასი ბრძოლის ველს ფეხ ქვეშ მხოლოდ მაშინ გაიმარტებს.

რუსეთში მრეწველობას მხოლოდ შინაური ბაზარი ანვითარებს, რადგანაც გარეშე ბაზარი დიდი ხანია სხვა ქვეყნებმა დაისაკუთრეს. შინაურ ბაზარს რუსეთში ხომ გლეხობა შეადგენს; გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება მრეწველობის განვითარებას გამოიწვევს და ქალაქის მუშებს თავის კლასიურ ინტერესებისათვის, სოციალიზმისათვის ბოძოლას გაუადვილებს. მეორე მხრით, მიწის გასაზოგადოვნება უმუშავოთ დარჩენილთა რეცხვს შეამცირებს, ქალაქისაკენ იაფ ფასიან მუშა ხალხის დენას მეაჩერებს და ჭით, ცხადია, ქალაქის მუშას ძალას შეკმატებს.

ორტოდოქსები ყველა ამას უტოპიას ეძახიან. „იო-
ცნებეთ რავდენიც გნებავთ, მაგრამ მაგ თქვენ მი-
წიერ სამოთხის შემქმნელად ვინ გეგულებათ? ჩვენ
ვამყარებთ ჩვენს იმედებს მებრძოლ პროლეტარია-
ტზედ, რომლის რიცხვი დღითი დღე იზრდება, რო-
მელიც მედგარ ბრძოლით დაიცავს თავის ინტერე-
სებს, რომელთა გამომხატველიც ჩვენა ვართ. ნუ
თუ თქვენ მართლა გწამთ, რომ გლეხობა მიწის გა-
საზოგადოებისათვის ბრძოლით თავს შეიიწუხებს! ნუ
დაგავიწყდებათ, რომ ისინი მესაკუთრენი, ბურუუ-
ბი არიან. მათ საწარმოვო იარაღი ჯერ ისევ ხელ-
ში აქვთ და, მაშასადმე ბურუუაზიას, მართალია
წვრილს. მაგრამ მაინც ბურუუაზიას იკუთვნიან. და
რადგანაც ყოველი კლასის შეგნება დამოკიდებულია
იმაზედ, თუ ამ კლასს რა ალაგი უჭირავს წარმოე-
ბაში, გლეხობის ფსიხოლოგიაც ბურუუაზიულია და
მიწის გასაზოგადოებისათვის საბრძოველად არასო-
დეს არ გამოვლენ“.

სოც.-დემოკრატების მხრივ ამ გვარი ლაპარაკი
არსებითად ეწინააღმდეგება იმ აზრებს, რომლებსაც
მარქსიზმის მოძღვრები ამტკიციბენ. ენგელისი, მა-
გალითად, „ანტილიუხინგში ამბობს: “ სიმდიდრის
განაწილებას კლასიური განსხვავებაც მოსდევს“. კა-
უცკი ერთს თავის წერილში, სახელდობრ „კლა-
სიურ ინტერესებში“ კლასს ეძახის იმ ჯგუფს რომელ-
საც შემოსავლის საერთო წყარო აკავშირებს, და
რომლის შემოსავლის რაოდენობა დამოკიდე-
ბულია მოპირდაპირე ჯგუფის შემოსავალზედ.

ამ განმარტებაზე რომ დავამყაროთ ჩვენი ლოლიკური მსჯელობა, ნათლად დავინახავთ, რომ გლეხობა და ბურუუაზია სულ სხვა და სხვა კატეგორიას წარმოადგენენ. მშობელ გლეხობისათვის შემოსავლის ერთად ერთ სახსარს მისი მარჯვენა, მისი მიწის პატარა ნაგლეჯი შეადგენს. იგი არავის არ სჩაგრავს, არავის კისრიდან არ იღებს ზედმეტ ლირებულობას. პირიქით ეს თვითონ არის შემქმნელი ამ ზედმეტ ლირებულებისა, რომელსაც მიწის პატრონი და კაპიტალისტები ითვისებენ. ბურუუაზია კი სუქდება მშრომელ ხალხის ექსპლოატაციით, ზედმეტ ლირებულობით, დღესავით ნათელია გლეხობისა და ბურუუაზიის სხვა და სხვაობა, ცხადია მათი ინტერესების წინააღმდეგობა, ცხადია რომ ესენი სულ სხვა და სხვა კლასს ეკუთვნიან. მშრომელ გლეხისა და ქალაქის მუშის ინტერესები კი ერთმანეთს ეთანხმებიან. ერთიც და მეორეც მარტო თავის საკუთარ შრომით საზრდოვობს; ერთიც და მეორეც ერთნაირათ იყვლიფებიან სიმღიდრის უსამართლოდ განაწილებისაგან; ერთის კეთილ დღეობა უსათუოდ მეორის ცხოვრების გაუმჯობესობას იწვევს. მშრომელი გლეხთა და ქალაქის პროდუქტაციაზე შეადგენს ერთს მშრომელთა კლასს.

სათემო მიწის მფლობელობის გასაკვირველი სიცხოველე და გლეხთა კავშირის*) გავრცელების გა-

*) ამ გლეხთა კავშირმა თავის პრგრამმის უმთავრეს მუხლში მიწის გასაზოგადოვება შეიტანა.

საკვირველი სისწრაფე ნათლად გვიმტკიცებს, რომ
მიწის გასაზოგადოების აზრი გლეხობას ძვალ რბილ-
ში აქვს გამჯდარი.

გვიდეთ ის დიდი რეალური ძალა, რომელსაც სურს
მიწის გასაზოგადოება და შესძლებს კიდევ თავის სა-
წილელის მიხედვის.

კერძო მამულების საზოგადო სამფულობელოდ
ჩამორთმევა შეიძლება გამოსყიდვით ან სრულ იად
უსასყიდლოდ მოხდეს. მაგრამ უმჯობესია ორივე
საშუალებით ვისარგებლოთ, რადგანაც ამ პირობებ-
ში საჭმე უფრო გააღვილდება.

ვის ექნება უფლება საზოგადო მიწით ისარგებ-
ლოს და თითო ოჯახს დასამუშავებლათ რავდენი
მიწა მიეცემა? არავითარი საფუძველი არ გვაქვს
საზოგადო მიწით სარგებლობის უფლება მივცეთ
იმას, ვინც თვითონ არ დაიმუშავებს მას. სრული
უაზრობა იქნება აკრეთვე, რომ ერთს უზარმაზარი
ხოდაბუნი მიუზომოთ და მეორე კი მიწის პატარა
ნაგლეჯის ამარა დავტოვოთ; ეს ხომ ხელს შეუწ-
ყობს იმ წესწყობილების აღდგენას, რომლის დანგ-
რევასაც ჩვენა ვცდილობთ, რადგანაც ხოდაბუნის
პატრონს შეძლება ექნება მცირე მამულიანს ძველე-
ბურად კისერზედ დააჯდეს. აშიტომ უნდა შემოდებულ
იქმნეს შაწით თანასწორი სარგებლობა. ყოველ ოჯახს,
რომელსაც მუშაობის უნარი ექნება, უნდა მიეცეს
სასარგებლოთ იმდენი მიწა, რავდენის მოხმარებაც
ამ ოჯახის სამუშაო ძალის ნორმას არ აღემატება;
ოჯახის გარდა მიწა შეიძლება მიეცეს მიწადმომქმედ-
თა ამხანაგობებს.

„მიწის თანასწორ სარგებლობის საჭიროების აღიარება მარტო რეაქციონერებს შეუძლიანთ“-ო, გვეუბნევიან ამაზედ ორტოდოქსები. „ეს იმას ნიშნავს, რომ წვრილი მეურნეობა იდეალად მიგრჩევიათ და მიწების გაყოფ-გამოყოფით გინდათ გადასწყვიტოთ ის საქმე, რომლის გადაწყვეტაც მხოლოდ საზოგადო წარმოებას შეუძლიან“. ამ

ამ რიგად მოლაპარაკეთ არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ მიწით თანასწორი სარგებლობა ჩვენს საბოლოო მიზანს არ შეადგენს. ეს მხოლოდ ის საფეხურია, რომელიც ჩვენის იდეალის განხორციელებას გაგვიაღვილებს. სოც.-დემოკრატებსაც სწორედ ამგვარ საფეხურად პროლეტარიზაცია მიაჩნიათ, მაგრამ ფიქრადაც არავის მოსვლია მათთვის პროლეტარიზაციის გაიდეალება ესაყველურა; ყველას კარგათ ესმის, რომ მათ პროლეტარიზაცია შხოლოდ გარდამავალ, საზოგადო წარმოებისათვის ნიადაგის მომამზადებელ საშუალებათ მიაჩნიათ.

მაგრამ მიწით თანასწორ სარგებლობას რა გზით შეუძლიან საზოგადო წარმოებამდის მიგვიყვანოს? ზევით ვამტკიცებდით, რომ სოფლის მეურნეობაში მსხვილ წარმოება ვერა ვითარდება, და ეხლა კი საზოგადო წარმოებაზედ, ე. ი. ისევ მსხვილ წარმოების განვითარებაზედ ვლაპარაკობთ. ჩვენ აზრს ჩვენ თითონვე ხომ არ ვეწინააღმდეგებით? სრულიათაც არა! ზევით კერძო მეურნეობაზედ გვქონდა ლაპარაკი და ვამტკიცებდით, რომ კერძო კაპიტალისტური მეურნეობა კაპიტალისტისთვის სა-

სარგებლო არ არის, რომ უკანასკნელი მიწების იჯარით გაცემით უფრო მეტს % აიღებს ეს იმას არ ნიშნავს, რომ წვრილი მეურნეობა მსხვილზედ უფრო ნაყოფიერია. მსხვილი წარმოების უპირატესობა, პირიქით, იმაში მდგომარეობს, რომ აქ აღვილია საუკეთესო ინვენტარის შეძენა, კრედიტის გახსნა, საქონლის თავის დროზედ გასაღება, ერთის სიტყვით, მსხვილი წარმოება სოფლის მეურნეობა-შიაც აღიდებს შრომის ნაყოფიერებას და ამიტომაც წვრილ წარმოების მსხვილიდ გადაქცევა ყოველთვის სასურველია. ორტოდოქსებს გულუბრყვილოთ სწამთ, რომ ამ საქმეს კერძო მწარმოებელნი და კაპიტალისტები გააკრთხენ. ჩვენ კი ვთიქრობთ, რომ ეს გარდაქმნა კაპიტალისტებისა და ჩარჩების ზედ გავლენით კი არა, მშრომელ ხალხის ბრძოლით განხორციელდება. მშრომელი გლეხთა კორპუსი ბით და სინდიქატუმით ადგილად შეია შესვიდ, საზოგადო წარმოებამდის.

ორტოდოქსები გაცხარებით სცდილობენ ამ აზრის დარღვევას. მათის აზრით კოოპერატიულ მოძრაობას სასურველი შედევი ვერ მოჰყვება, რადგანაც ყოველ გვარი კოოპერაცია, მათის აზრით ან უნდა დაიშალოს, ან და კაპიტალისტურ, აქციონერულ ამხანაგობად გადაიქცეს. ორტოდოქსების სიტყვით, ამ გვარი საქმე ემართებოდა ყოველ კოოპერაციას. მართალია ინდუსტრიაში კოოპერაციამ ყველგან ასეთი ხასიათი მიიღო, მაგრამ ამის მიზეზი ისაა, რომ კოოპერაციებს არ შეუძლიანთ კონ-

კურენცია გასწიონ კერძო კაპიტალისტურ წარმოებასთან, რომელიც გასაკვირველ სისწოაფით ვითარდება. სულ სხვა გვარად სწაოძოება საქმე სოფლის მეურნეობაში. იქ კერძო კაპიტალისტური წარმოება ვერა ბოგინობს, სამაგიეროდ კოოპერატიულმა მოძრაობამ კი ჯველგან ბრტყიცეთ მოიღვა ფეხი. (დაწვრილებითი ცნობები ად საგანზედ შეგიძლიანთ ნახოთ სხვათა შორის ჩუპროვის წიგრი: (“წვრალი მიწადმოქმედების საჭიროებანი”). საკმარისია გავიხსნოთ, რომ გერმანიაში დამოუკიდებელ მეურნეობათ შეტი წილი სხვა და სხვა გვარ კოოპერაციებითა შეკავშირებული, რომ ბელგიაში მერძევეთა კოოპერაცია გასაკვირველ სისწოაფით მოედო მთელ სოფლის მეურნეობას, რომ საფრანგეთში კოოპერაციის წყალობით ღვინის მოვლა-მოყვანა საუკეთესოდ არის დაყენებული და სხვა. რუსეთში რომ არ ვითარდება კოოპერაციები, ამის ერთად ერთი მიზეზი ხალხის უფლებობა, უსწავლელობა და უკიდუოესი სილატაკეა. ხელფეხ შებორკილ კაცს განაცეკვის თავი აქვს?! რუსეთში კოოპერატიულ მოძრაობის განვითარებას მაშინ მოვესწრებით, როდესაც მიწა საზოგადო კუთვნილებათ იქნება აღიარებული, როდესაც დამყარდება ხალხის მმართველობა, როდესაც ხალხის განათლებისათვის ზრუნვა თავის შესაფერ ადგილს დაიჭერს. თქმა არ უნდა, რომ ამ მომავლის ცდა დიდხანს არ დაგვჭირდება.

ორტოდოქსები მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ კოოპერაციები ამ პირობებშიაც არ აღორძინ-

დებიან. მათის აზრით, გლეხი, ამ გვარ ცვლილებათა ზედ გავლენით, წელში გაიმართება, გამდიღრება და კოოპერაციაზედ და საზოგადო წარმოებაზედ ფიქრსაც კი დაივიწყებს. ამ შიშის არავათარი საფუძველი არა აქვს. კეთილდღეობის ზრდას უკველთვის მოთხოვნილებათა ზრდაც მოსდევს ხოლმე. გლეხი ამ გვარ ცხოვრებას არასოდეს არ დასჯერდება; ის უფრო შორს წავა, უფრო უკეთეს მომავალისათვის დაიწყებს ბრძოლას და, რადგანაც მის შემოსავლის ერთად ერთი წყარო შრომაა, იგი თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მხოლოდ შრომის განაყოფიერებით შესძლებს; შრომის განაყოფიერების შეძლებას კი მას კოოპერაცია მისცემს, მაშასადამე არავითარი უფლება არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ განახლებულ რუსეთის მშრომელი გლეხობა კოოპერაციით დაკმაყოფილდება და სოციალიზმსს მქადაგებელთ ზურგს აუქცევს. და როდესაც კოოპერატიულ მოძრაობა სოფლის მეურნეობის ყოველ დარგში განვითარდება, მაშინ ქალაქ-შიაც წარმოების გასაზოგადოვება გააღვილდება...